

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი # 11

ქ. ონი

28. 11. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ვასილ მაისურაძე, გივი მეტრეველი, გიორგი მეტრეველი, მამია ყავლაშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, როზა ჩალაძე, გიორგი სულაძე, სერგო ლობჯანიძე, დავით მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, შორენა რეხვიაშვილი, გოჩა მეტრეველი, დავით სხირტლაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, ვანო ბაღაშვილი, ბექარი მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გელა მეტრეველი, დიმიტრი გომაძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, აველი ორდინიძე.

არ ესწრებოდა 8 წევრი: ვლადიმერ ბერელიძე, ნოდარ ბურდილაძე, ირმა სტეფნაძე-იაშვილი, კესო ჩარკვიანი, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, ღვთისაფარ ბაკურაძე, ანა ბაქრაძე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი ემზარ საბანაძე, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი იმედა გობეჯიშვილი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ირინა გობეჯიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. იმედა გობეჯიშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

2. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს #20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

4. სსიპ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2019 წელს მე-2 ხარისხის მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

/მომხს. ვანო ბაღაშვილი-საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე
მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი
დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. იმედა გობეჯიშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს #20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ირინა გობეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი საკრებულოს 2019 წლის 29 აგვისტოს #20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანილია ხუთი პაზ-ის ტიპის ავტობუსი, ორი მიკროავტობუსი, ორი ძარიანი ავტომობილი და ექვსი მუხლუხა ბულდოზერი, რომელთა ნაწილი ჩამოწერილია და გამოსადეგია მეორად ლითონად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ირინა გიბეჯიშვილი-ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ დანართი #2-ის შესაბამისად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 4. სსიპ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2019 წელს მე-2 ხარისხის მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

/მომხს. ვანო ბაღაშვილი-საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე/

ვ. ბაღაშვილმა სხდომას გააცნო სსიპ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2019 წელს მე-2 ხარისხის მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე